

ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N17გ საცხოვრებელი სახლის
N13 ბინაზე, მოქალაქე სერგო ბიწაძისათვის საკუთრების
უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა მოქალაქე სერგო ბიწაძის განცხადება /2010 წლის 29.12 N1716/, რითაც ითხოვს ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N17გ საცხოვრებელი სახლის N13 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „აღვილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65² მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის აღვილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N17გ საცხოვრებელი სახლის N13 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე სერგო ბიწაძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების საქალაქო სამსახურმა /ნ.ჩოგოვაძე/, ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის გამზირი N17გ საცხოვრებელი სახლის N13 ბინაზე /საერთო ფართობი 15,50 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 15,50 კვ.მ./, მოქალაქე სერგო ბიწაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლს ვივალებ პირადად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,
მერის მოვალეობის შემსრულებელი

დ.ანდლულაძე